**სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის** *მიხეილ ჯინჯოლიას* **შეფასების შედეგი:**

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ✓ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | **19** | **20** |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | **19** | **20** |
| წერის უნარი | **18** | **20** |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | **13** | **15** |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | **14** | **15** |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | **3** | **5** |
| პროფესიული აქტივობა | **3** | **5** |
| **ქულათა ჯამი** | **89** | **100** |

**ტრისტან ბენაშვილი**

**თარიღი: 14.04.2025**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**
**ტრისტან ზენაშვილი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის მიხეილ ჯინჯოლიას შეფასება/დასაბუთება**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებით (ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის N1/163 განკარგულებით) დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის **მიხეილ ჯინჯოლიას** შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციას და 2025 წლის 18 მარტს კანდიდატ **მიხეილ ჯინჯოლიასთან** წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის მიხეილ ჯინჯოლიას შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ორი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად. ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ჯინჯოლიას უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 4 ფაქტი( დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად).

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, თავმდაბლობას ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, თავაზიანი და კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სრულად აქვს შეგნებული პირადი და პროფესიული მოვალეობები.

## 2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც სამართლიან, მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ იგი არის საკუთარი სიტყვის ერთგული, კვალიფიციური და პრინციპული პიროვნება.

მიხეილ ჯინჯოლია არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა ღიად და ობიექტურად, განსხვავებული მიდგომებით.

გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებით და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის

უნარი.

### 3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია, მართავს საკუთარ ემოციებს. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა კორექტულობას და კონსტრუქციულობას.

ზოგადათ კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის გულწრფელობას, სიდინჯეს, შრომისმოყვარეობას, თავშეკავებულობას და ა.შ.. ამასთან, აფასებენ, როგორც გაწონასწორებულ და ზრდილობიან პიროვნებას.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ჯინჯოლიას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მიხეილ ჯინჯოლიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

### 4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატის რეკომენდატორების, მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ხასიათდება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.

რეკომენდატორებსა და გამოკითხულ რესპოდენტებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

პრესაში გავრცელებულია სხვადასხვა ინფორმაცია მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ, მის სამოსამართლო საქმიანობასთან, სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად არჩევასთან და მის მიერ განხილულ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით.

### 5. ფინანსური ვალდებულება:

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი

მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

მიმაჩნია რომ, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს და ფინანსურ ვალდებულებებს შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებას.

**საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის მიხეილ ჯინჯოლიას შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

**1. სამართლის ნორმების ცოდნა -** <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენების ანალიზსა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u>

შეფასების პროცესში შესწავლილი იქნა მიხეილ ჯინჯოლიას მიერ წარმოდგენილი განაჩენები, კერძოდ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 მაისის N1/5796-22 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 ივნისის N1/6857-22 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ოქტომბრის N1/996-23 განაჩენი.

აღნიშნულზე დაყრდნობით, ასევე კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ჯინჯოლია კარგად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს; არსებითად ადეკვატურად აცნობიერებს განხილული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას; მისი ცოდნა არის სიღრმისეული, რაც საშუალებას აძლევს ისაუბროს თავისუფლად და ლოგიკურად. ზოგადად, სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო მრავლის მომცველი. თუმცა აღსანიშნავია, რომ არასრული პასუხები გასცა ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე დასმულ შეკითხვას.

კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ იგი ეცნობა როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას. სამართლებრივი

საკითხებზე მსჯელობისას იშველიებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას.

**2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია** - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u>

მიხეილ ჯინჯოლიას აქვს 14 წლიანი პროფესიული გამოცდილება სხვადასხვა სფეროში და თანამდებობებზე, აქედან 4 წელი და 2 თვე სამოსამართლო გამოცდილება, რომელსაც ასრულებს მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით. ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატი სწორად განმარტავს სამართლის ნორმას, იყენებს ეროვნული და ევროპული სასამართლოების პრაქტიკას.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია, მას შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და თავისუფალი მსჯელობა. ზოგიერთი სამართლებრივი საკითხის განხილვისას კანდიდატმა საკუთარი მოსაზრება საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით განამტკიცა.

**3. წერის უნარი** - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენების ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

მიხეილ ჯინჯოლიას მიერ წარმოდგენილი განაჩენების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად იკვეთება, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და გასაგებად გადმოცემა. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ მის მიერ შედგენილი განაჩენები დაინტერესებული პირისათვის მარტივად აღსაქმელი და გასაგებია. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა, თუმცა შეინიშნებოდა მცირედი სტილისტური და პუნქტუაციური უზუსტობები.

კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატს შეუძლია აზრის ლაკონიურად და გასაგებად გადმოცემა.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი საკუთარი განაჩენების დასაბუთებისას იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას, ასევე გამოყენებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

**4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი** - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, მიხეილ ჯინჯოლიას ახასიათებს დინჯი, მშვიდი და გამართული საუბარი. ასევე, იგი იცავს ეთიკის წესებს.

მიმაჩნია, რომ რომ კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში. ზოგადად, დატოვა მშვიდი, ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად თანმიმდევრულად, ლოგიკურად გამართულად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად გასაგებად გადმოსცემს.

**5. პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)** - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის შესახებ არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციას საქმეთა განხილვის თაობაზე, პრესასა და მედია საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას, მის ქცევას სასამართლო სხდომის წარმართვისას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

გამოკითხული რეკომენდატორები მიხეილ ჯინჯოლიას ახასიათებენ, როგორც ორგანიზებულ, თანმიმდევრულ, მიზანმიმართულ პიროვნებას. რაც შეეხებათ რესპოდენტებს, კანდიდატს დადებითად ახასიათებენ კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნული მახასიათებლით. პრესაში გავრცელებულია სხვადასხვა ინფორმაცია მიხეილ ჯინჯოლიას შესახებ, მის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით.

კანდიდატის მიერ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცულია შემდეგნაირად: საქმის განხილვის ვადის დაცვის მაჩვენებელი - 100%; გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის მაჩვენებელი - 100%; გასაჩივრებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 96.3%; კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (990 დღე) დასრულებული აქვს 5203 საქმე (დღეში საშუალოდ 5,3 საქმე).

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ჯინჯოლია პასუხისმგებლობის გრძნობის, მაღალი მორალური და ზნეობრივი თვისებების, ანალიტიკური აზროვნების მქონე, მიზანდასახული, პრინციპული, კეთილსინდისიერი და კომპეტენტური პიროვნებაა. შესაბამისად მიმაჩნია, რომ მიხეილ ჯინჯოლია სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებს წარმატებით და კეთილსინდისიერად.

**6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა -** აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.

მიხეილ ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდები, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული. იგი მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში (2022 წლის 4-5 ივნისი, ბაკურიანი, ევროპის საბჭოს (CoE) საპილოტე სემინარი - „სქესობრივი დანაშაული"; 2022 წლის 23-24 ივლისი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა"; 2022 წლის 29-30 ოქტომბერი, კომპლექსი ლოპოტა, ევროპის საბჭოს ოფისის (CoE) სემინარი - „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე"; 2023 წლის 15-17 მარტი, წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული; 2023 წლის 7-9 აპრილი - დანაშაულისა და ძალადობის მოწმე ბავშვები - EU; 2023 წლის 1 და 2 ივლისი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა"), იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით დაგეგმილი ტრენინგი - „სქესობრივი დანაშაული"; 2023 წლის 20-22 ოქტომბერი, ლიკანი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „სამოსამართლო ეთიკა"; 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; 2024 წლის 8 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცენდენტები)). ამასთან, გამოკითხული რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატი მუდმივად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგში, საკუთარი პროფესიული წვრთნის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

**7. პროფესიული აქტივობა -** აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარს, იდეებისა და წინადადებების წამოყენებას, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციებს, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მის დამსახურებას. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მის მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვას.

მიხეილ ჯინჯოლია არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. მას

ახასიათებენ, როგორც ინიციატივების და წინადადებების წამოყენების უნარის მქონე პიროვნებას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სემინარსა და კონფერენციაში. ამასთან, საქართველოს მთავარი პროკურორის 2018 წლის 29 მაისის ბრძანებით კანდიდატს ვადამდე მიენიჭა პირველი კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება. კანდიდატი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2024 წლის 24 მარტის დადგენილებით არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 89 ქულას.**

**თარიღი :** 14. 04. 2025 წ.

**ხელმოწერა:**